თბილისი 2019 წლის 2 ივლისის

თსუ რექტორის 2019 წლის 22 მაისის N121/01-01 ბრძანების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ") აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს N67/2019 2019 წლის 7 ივნისის N10 სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

<u>დღის წესრიგი:</u>

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ნინა მამამთავრიშვილის მიერ გაკეთებული მოხსენება.

<u>მოისმინეს:</u>

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ნინა მამამთავრიშვილის მინი მოხსენება, მის მიერ მოპოვებული სამეცნიერო გრანტებისა და წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევების კონცეფციის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატმა დეტალურად მიმოიხილა საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობს მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

მაია ბიწკინაშვილმა და თეიმურაზ დოჭვირმა.

მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ ნინა მამამთავრიშვილის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და იგი მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 5 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდე-ბობაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ნინა მამამთავრიშვილის არჩევას.

<u>დაადგინეს:</u>

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნინა მამამთავრიშვილი არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატიული დიაგნოსტიკის კათედრის ასოცირებულ პროფესორად;

კომისიის წევრების ხელმოწერა

_____

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

_____

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

_____

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_____

მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)